საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №54/18

-- -- (-- -- უფლებამონაცვლე -- -- წარმომადგენელი) 2018 წლის 20 თებერვლის №54 საჩივრის საფუძველზე საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №54/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

2018 წლის 20 თებერვალს -- --, წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნა, რომ -- -- სარჩელით მიმართა სასამართლოს -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით, რომელიც მოსამართლე -- -- მიერ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. საჩივარი განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --, რომელსაც ეგონა, რომ -- -- მოთხოვნა შეადგენდა 11 024 აშშ დოლარს, ნაცვლად 2600 აშშ დოლარისა და შესაბამისად სთხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდას 11 024 აშშ დოლარიდან გამომდინარე. -- -- მოთხოვნა დაუთმო -- --, რადგან ეს პიროვნება განთავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, თუმცა ამ ფაქტმა ისა გააბრაზა მოსამართლე, რომ მან სააპელაციო საჩივარი არ განიხილა. განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განჩინება და ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს. ამ ფაქტის შემდგომ მოსამართლე -- -- გაღიზიანდა, სხდომებზე პირდაპირ გამოხატავდა, რომ უარს ეტყოდა მას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, გამოხატავდა აგრესიას, არ უსმენდა და აწყვეტინებდა

საუბარს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს აგრძნობინა, რომ მის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მოსამართლემ არაობიექტურად, არასწორად შეაფასა ფაქტები და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. ასევე სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სსსკ-ს 341-ე მუხლი). მოსამართლე პირდაპირ შეპირდა მხარეს, რომ გაუუქმებდა ყადაღას უძრავ ქონებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 10 მარტს, -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის - -- -- მიმართ, 3000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა 400 (ოთხასი) აშშ დოლარის გადახდა 2013 წლის 22 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 400 აშშ დოლარის 0.3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან -2016 წლის 7 მარტიდან ვალდებულების შესრულებამდე. -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში 245.67 ლარიდან 71,61 ლარის ანაზღაურება.

2016 წლის 28 მარტს -- -- მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

2016 წლის 8 აპრილის განჩინებით აპელანტ -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. მოსამართლემ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მხარეს დაუანგარიშა 11024 აშშ დოლარიდან (სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის დასაკისრებელი 2600 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო სესხის თანხის 2600 აშშ დოლარის 0,3% წელზე დაანგარიშებული). გამომდინარე იქიდან, რომ მხარემ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, -- სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის განსაზღვრული ვადა.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- ვერ იხდიდა სახელმწიფო ბაჟს, მან მოთხოვნა დაუთმო -- --, რომელიც გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. (7.07.2016 წლის განჩინებით, -- -- ცნობილი იქნა -- -- უფლებამონაცვლედ).

2016 წლის 8 ივლისის განჩინებით -- -- უფლებამონაცვლის -- -- სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის შევსებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის გამო დარჩა განუხილველი.

განჩინება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, საკასაციო სასამართლოს განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის განჩინება.

2017 წლის 27 იანვრის -- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით -- -- უფლებამონაცვლე -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 26 სექტემბერს, რომელიც გადაინიშნა 2017 წლის 17 ოქტომბერს.

2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა 2015 წლის 11 მარტის განჩინებით გამოყენებული ყადაღა, -- -- მიერ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი თანხა დარჩა ანგარიშზე, კანონის ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებით -- -- უფლებამონაცვლის -- -- საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება...“ ამავე კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად..“ „სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი...“ საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ გაიზიარა მისი პოზიცია, ფაქტები არასწორად შეაფასა, გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და მიიღო არაობიექტური გადაწყვეტილება, თუმცა მოსამართლე -- -- 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, ვინაიდან თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ არასწორად დაუანგარიშა მას სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, თუმცა როგორც ხარვეზის შესახებ განჩინებაში არის მითითებული, მოსამართლემ სახელმწიფო ბაჟი დაიანგარიშა 11024 აშშ დოლარიდან, კერძოდ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის დასაკისრებელი 2600 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლო სესხის თანხის 2600 აშშ დოლარის 0,3% წელზე დაანგარიშებული თანხის შეკრების საფუძველზე. მოსამართლის მხრიდან კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე სახის გადაცდომას ადგილი არ ქონია.

3.2. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას, მოსამართლის მხრიდან ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის ფაქტზე. მოსამართლის მიერ ჩატარებული სხდომების (26.09.2017 წელი და 17.10.2017 წელი) ამსახველი აუდიო ჩანაწერის დეტალურად მოსმენის შედეგად, აღსანიშნავია, რომ მოსამართლე -- -- კითხვებს სვამდა მხოლოდ საქმესთან მიმართებაში, მისი მხრიდან რაიმე სახის მოქმედებას ადგილი არ ქონია, არც აგრესია გამოვლენილა კონკრეტული მხარის მიმართ, იგი არ გასცდენია მისთვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს, შესაბამისად მისი მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №54/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი